პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 35 (9811) | ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეყრდნობა რა საბჭოთა, სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

მ ი მ ა რ თ ვ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს

ამხანაგებო!

1954 წლის 14 მარტს საბჭოთა ხალხი აირჩევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენი ქვეყანა ეგებება ძალღონით აღსავსე, ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში.

საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევაა ის, რომ მან აღადგინა სამრეწველო საწარმოები, ქალაქები და სოფლები, რომლებიც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დაანგრიეს ომის პერიოდში. მტერმა ნანგრევებად აქცია ასობით ქარხანა და ფაბრიკა, ათობით ქალაქი, ათასობით სოფელი, უსახლკაროდ დარჩა მილიონობით ადამიანი. გავიდა სულ რამდენიმე წელიწადი, და აი კვლავ სოციალისტური ინდუსტრიის მწყობრშია აღორძინებული და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამრეწველო საწარმოები; აღდგენილია მტრის მიერ გადამწვარი და დანგრეული ქალაქები და სოფლები; აღარ არის მიწურები, სადაც თავს აფარებდა ბევრი რაიონის მოსახლეობა — მათთვის აგებულია ახალი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. ყოველივე ამან მოითხოვა კოლოსალური ღონისძიებანი, სახსრები და ძალების უდიდესი დაძაბვა. მაგრამ ეს გაკეთდა! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის რკინისებურმა ნებამ, ჩვენი ხალხის თავდადებულმა, გმირულმა შრომამ გადალახა ყველა სიძნელე, კვლავ და კვლავ დაამტკიცა საბჭოთა წყობილების დიადი სასიცოცხლო ძალა.

საბჭოთა ხალხმა თავისი სწრაფი და შეუჩერებელი წინსვლით შორს მოიტოვა ის ეკონომიური მიჯნები, რომლებზეც ომმა შეწყვიტა მისი მშვიდობიანი შრომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნები ჩატარდა 1950 წელს—მეოთხე ხუთწლედის უკანასკნელ წელს. წარმატებით დაამთავრეს რა ეს ხუთწლედი, საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ძალღონეს და შრომას არ იშურებენ, რათა განახორციელონ ახალი — მეხუთე ხუთწლედის დავალებანი. უკვე 1953 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ სსრ კავშირში ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

ჩვენი მშვიდობიანი ეკონომიკის აყვავების საფუძველი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფუძველი იყო და არის მძიმე მრეწველობა. ჯერ კიდევ ომამდე, ახორციელებდა რა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას და ამზადებდა რა ჩვენს ქვეყანას აქტიური თავდაცვისათვის, პარტიამ შექმნა მძლავრი, პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია. ომისშემდგომ წლებში მოპოვებულია ახალი დიდი წარმატებანი მძიმე მრეწველობის განვითარებაში. 1953 წელს სსრ კავშირში გამოშვებულია 38 მილიონი ტონა ფოლადი — ორჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; ამოღებულია 320 მილიონი ტონა ქვანახშირი — ერთიორად მეტი, ვიდრე 1940 წელს, და 52 მილიონი ტონა ნავთობი — 70 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს; გამომუშავებულია 133 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია — 2,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება და ვითარდება საბჭოთა მანქანათმშენებლობა — ჩვენი ინდუსტრიის გული: 1953 წელს 3,8-ჯერ მეტი მანქანა და მოწყობილობა დამზადდა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული ტრანსპორტის განვითარებასა და მშენებლობაში. ყოველწლიურად იზრდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტვირთბრუნვა ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის არტერიებით — რკინიგზებით, საზღვაო, სამდინარო გზებითა და არხებით, გზატკეცილებით. ახლა ყველა სახეობის ტრანსპორტს აქვს მძლავრი ტექნიკური ბაზა. წლითიწლობით იზრდება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და დაწესებულებათა და საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა. მშენებელი ორგანიზაციები აღჭურვილია დიდი წარმადობის მანქანებითა და მექანიზმებით.

მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა მოამზადა პირობები სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა იმ ვარაუდით, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადიდდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება, და ჩვენი ქვეყნის მშრომელები უკვე თვალნათლივ ხედავენ იმ ღონისძიებათა პირველ შედეგებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ. 1953 წელს, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, მრეწველობის ის დარგები, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებს უშვებენ, უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე 1952 წელს. თუ ამ დარგების პროდუქცია 1952 წელს 10,5 პროცენტით გადიდდა, 1953 წლის მეორე ნახევარში იგი გადიდდა უკვე 14 პროცენტით. ამჟამად დაწყებულია მრავალი ასეული საფეიქრო და ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკის, აგრეთვე კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა. მარტო 1953 წელს მწყობრში ჩადგა დაახლოებით 300 ახალი საწარმო, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს. ფართოვდება და უახლესი მოწყობილობით აღიჭურვება მსუბუქი და კვების მრეწველობის მოქმედი საწარმოები.

ისახავს რა ამოცანად სოციალისტური მრეწველობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, პარტია ყველა ღონისძიებას იღებს იმისათვის, რომ გამოვლინებულ და გამოყენებულ იქნას შინაგანი რეზერვები, რომლებიც ჩვენი მრეწველობის წიაღში მოიპოვება. ჩვენში კიდევ არის ისეთი საწარმოები და მრეწველობის მთელი რიგი დარგებიც კი, რომლებიც ჩამორჩებიან, საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ. ბევრ შემთხვევაში ცუდად იყენებენ უმდიდრეს ახალ ტექნიკას, ჯერ კიდევ დიდია მოწყობილობის მოცდენა. ჯერაც არ ექცევა საკმაო ყურადღება პროდუქციის ხარისხს. ცოტა როდია ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს. ბევრ საწარმოში უყაირათოდ, მფლანგველურად იყენებენ საწარმოო ფართობებს. სამეურნეო ხელმძღვანელთა შორის ჯერ კიდევ გვყავს ჩამორჩენილი, დახავსებული ადამიანები, რომლებიც ებღაუჭებიან ძველს, დრომოჭმულს და თავის მოვალეობად არ მიაჩნიათ ის, რომ ყოველი ღონისძიებით დანერგონ მოწინავე, პროგრესული, აქტიურად დაუჭირონ მხარი წარმოების ნოვატორებს. აღმოვფხვრათ ყველა ეს ნაკლი, ავიყვანოთ ჩამორჩენილი საწარმოები მოწინავეთა დონემდე — ნიშნავს იმას, რომ ავამოქმედოთ ჩვენი მრეწველობის მნიშვნელოვანი შინაგანი რეზერვები და ამით უზრუნველვყოთ ყველა მისი დარგის ახალი მძლავრი აღმავლობა.

კომუნისტური პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი და ჩვენი გამოცდილი, გაზრდილი ინჟინერ-ტექნიკური კადრები კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას იმ ახალი უდიდესი ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც დასახულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის წინაშე, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ყველა ჩვენი საშუალებისა და შესაძლებლობის უფრო ეკონომიური და გონივრული გამოყენებისათვის.

სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობის დარგში. სავსებით აღდგენილია ომის პერიოდში დანგრეული კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები. არა მარტო მივაღწიეთ, არამედ კიდევაც გადავაჭარბეთ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის ომამდელ ოდენობას. მაგრამ პარტია ახალ ღონისძიებებს სახავს სოფლის მეურნეობის განვითარების არა ამ უდავო და დიდ წარმატებათა მიხედვით, არამედ მშრომელების განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. თუ არ მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას, არ შეიძლება სრულად უზრუნველვყოთ სურსათის სიუხვე და ნედლეულით მოვამარაგოთ ჩვენი სწრაფად მზარდი მსუბუქი და კვების მრეწველობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებასა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში სოფლის მეურნეობის საკითხების შესახებ შემუშავებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, პირველ რიგში მეცხოველეობის და კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების დაჩქარებული განვითარების საბრძოლო, კონკრეტული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ნახევარი წელიწადი გავიდა, — ეს დიდი დრო არ არის. მაგრამ ამ მოკლე ხანშიც ბევრი რამ გაკეთდა. კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1953 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 139 ათასი საერთო დანიშნულების ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 18 ათასი სათოხნი ტრაქტორი, 41 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 69 ათასი სატვირთო ავტომობილი, ორ მილიონზე მეტი ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი, სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 6 მილიონი ტონა მინერალური სასუქები. ახლა მთელი საქმე ის არის, რომ სწორად, ყაირათიანად გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა. გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს რა კადრებს, პარტიამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის გაგზავნა 100 ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, ბევრი ინჟინერი და ტექნიკოსი, რომელთაც შეუძლიათ მოაწყონ განუწყვეტლივ მზარდი მანქანა-ტრაქტორთა პარკის სწორად გამოყენება.

მაგრამ პარტიას ყოველივე ეს მხოლოდ პირველ ნაბიჯებად მიაჩნია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიად საყოველთაო-სახალხო საქმეში. ჩვენში მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ნაკლი ახასიათებს, ბევრია გამოუყენებელი რეზერვი. მაგალითად, საკმარისია ითქვას, რომ მარტო ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სხვა რაიონების ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით, — ეს მუშაობა კი პარტიამ და მთავრობამ უკვე დაიწყეს, — შესაძლებლობა გვაქვს მარცვლეული კულტურების ნათესი გავადიდოთ რამდენიმე მილიონი ჰექტარით. ამ საქმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია: რაც უფრო მეტ მარცვლეულს მოვიყვანთ, მით უფრო მეტი გვექნება არა მარტო პური, არამედ ხორცი, ერბო-კარაქი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებიც.

კომუნისტური პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოკლე ვადაში აამოქმედონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები, აიყვანონ ჩამორჩენილი რაიონები და კოლმეურნეობები მოწინავეთა დონემდე, მიაღწიონ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ისეთ საერთო აღმავლობას, რომ აყვავდეს უკლებლივ ყველა კოლმეურნეობა, რომ ყველა კოლმეურნე უზრუნველყოფილი, შეძლებული ადამიანი გახდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში უხვად იყოს კვების ყველა პროდუქტი ქალაქების მზარდი მოსახლეობისათვის, ყველა სახეობის ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის.

რა მიზანს ისახავს კომუნისტური პარტია, როცა იბრძვის მთელი საზოგადოებრივი წარმოების — როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოების — განუწყვეტელი ზრდისათვის? ეს მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი გაუმჯობესება, მის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება. ამ მიზნის განუხრელი განხორციელება პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია, კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ვაშენებთ და ვაფართოებთ ქარხნებს, ფაბრიკებს, ელექტროსადგურებს, გაგვყავს რკინიგზის ახალი მაგისტრალები, განვამტკიცებთ კოლმეურნეობებს, ვაიარაღებთ სოფლის მეურნეობას უახლესი, უაღრესად მოწინავე ტექნიკით, ვაბანდებთ ყოველივე ამისთვის უდიდეს სახსრებს, რათა, საბოლოო ანგარიშით, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია — ყველა საბჭოთა ადამიანი უკეთ ცხოვრობდეს, რომ ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე წლითიწლობით, დღითიდღე მაღლდებოდეს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საერთო ზრდის საფუძველზე განუწყვეტლივ მატულობს მშრომელთა შემოსავალი. განუხრელად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი. ჩვენში სისტემატურად, წლითიწლობით მცირდება სამრეწველო და სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები. იზრდება მოსახლეობისათვის შეღავათები და სხვა დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან — სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დახმარება და პენსიები, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ. მუშა-მოსამსახურეთა ფულადი და რეალური ხელფასის ზრდასთან ერთად მატულობს გლეხთა შემოსავალი. 1953 წელს შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და კოლმეურნეთა პირადი მეურნეობიდან სავალდებულო ჩაბარების ნორმები. გადიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის დასამზადებელი და შესასყიდი ფასები. კოლმეურნეებს მთლიანად მოეხსნათ წარსული წლების სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენი, ჩამოეწერათ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტებისა და კარტოფილის ჩაბარების წარსული წლების დავალიანება. კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების წარსული წლების დავალიანება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მარტო კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ეკონომიური წახალისების ღონისძიებათა, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის დარგში ღონისძიებათა განხორციელებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი 1953 წელს 13 მილიარდი მანეთითა და მეტით გაიზარდა.

სისტემატურად ფართოვდება საქონელბრუნვა. 1953 წელს სავაჭრო ქსელს წლიური გეგმის დამატებით გაეცა 33 მილიარდი მანეთის საქონელი. მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით 1953 წელს მოსახლეობას მიეყიდა 21 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1952 წელს. განსაკუთრებით გაიზარდა ისეთი პროდუქტებისა და საქონლის გაყიდვა, როგორიც არის ხორცი, ერბო-კარაქი, ყველი, შაქარი, ბოსტნეული, აბრეშუმის ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, ტყავის ფეხსაცმელი, ავეჯი, საკერავი მანქანები, საათები, პატეფონები, რადიომიმღებები, ტელევიზორები, ველოსიპედები, მოტოციკლები და მსუბუქი ავტომობილები. განუწყვეტლივ დიდდება მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოება, პარტია და მთავრობა ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს მაღაზიებისა და სხვა სავაჭრო საწარმოების ქსელი. კომუნისტური პარტია ამოცანად ისახავს — და ეს ამოცანა უთუოდ განხორციელდება — გადაჭრით გააუმჯობესოს საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაცია და მომხმარებლის მომსახურება, მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ ორი-სამი წლის შემდეგ თვითეულ ქალაქსა და თვითეულ სასოფლო რაიონში საბჭოთა ადამიანებს შეეძლოთ იყიდონ ყველა საჭირო საქონელი.

კომუნისტური პარტიის მუდმივი საზრუნავია მშრომელებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ჩვენში ჯერ კიდევ არის ბინების ნაკლებობა. ეს გასაგებიც არის: მრეწველობის განუწყვეტელი ზრდის გამო ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა წლითიწლობით მატულობს. ომისშემდგომ პირველ წლებში უწინარეს ყოვლისა უნდა გვეშენებინა მტრის მიერ გადამწვარი ქალაქები, მუშათა დაბები და სოფლები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს — იქ მილიონობით ადამიანმა დაკარგა სახლკარი და მიწურებს აფარებდა თავს. თუ რა გაკეთდა და კეთდება ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის დარგში, ამას მოწმობენ ციფრები: ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა 155 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მუშა-მოსამსახურეებისათვის, ხოლო სოფელ ადგილებში — ოთხ მილიონამდე სახლი კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციისათვის. საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ადიდებს ასიგნობებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. შარშან ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ მიიღო 28 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ — 400 ათასზე მეტი ახალი საცხოვრებელი სახლი. ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება მიღწეულს დავჯერდეთ. კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს საბინაო მშენებლობა 1954 წელს და შემდგომ წლებში. კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძოლებს მშრომელთა საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ყველგან — ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში შენდება სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო და კულტურული დაწესებულებანი. 1953 წელს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 22 პროცენტით გადიდდა წინა წელთან შედარებით. წლითიწლობით დიდდება და კვლავაც გადიდდება სახელმწიფო ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის, ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დისპანსერების, სანატორიუმებისა და მშრომელთა დასასვენებელი სახლების ქსელის გაფართოებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ და თანმიმდევრულად განახორციელებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამას, რომელიც მან დასახა. პარტიას ეს თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია.

პარტია მუდამ ზრუნავს სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის, ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. კულტურული და განათლებული ადამიანი გახდეს ყველა მუშა და ყველა გლეხი — აი რა ამოცანას ისახავს კომუნისტური პარტია.

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლება. მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება შვიდწლიანი განათლების ნაცვლად საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში, იმ ვარაუდით, რომ შემდგომ ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლება განხორციელდეს მთელ ჩვენს ქვეყანაში. წლითიწლობით დიდდება სახალხო განათლების ხარჯები. ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 57 მილიონზე მეტი კაცი. მარტო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს სამ მილიონზე მეტი კაცი.

პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ის, რომ უზრუნველყოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერების აყვავება და შემდგომი განუწყვეტელი განვითარება. ჩვენმა მეცნიერებმა, რომლებსაც შექმნილი აქვთ ყველა პირობა ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისათვის, გაამდიდრეს მეცნიერება მთელი რიგი უდიდესი აღმოჩენებით ცოდნის ყველა დარგში. ისინი დაეუფლნენ ატომის ენერგიის მიღების მეთოდებს, და ამით მოსპეს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლია

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული

მიმართვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს

(დასასრული)

ამ დარგში. წარმატებით ხორციელდება ხალხის ინტერესებისათვის ჩვენი სამშობლოს უდიდესი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ბევრი ამოცანა. ყოველივე ეს უდავოა. მაგრამ ამასთან ერთად საბჭოთა მეცნიერების წინაშე ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი ამოცანა დგას, უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დაჩქარების დარგში. მოუწოდებს რა საბჭოთა მეცნიერებს გადაჭრან ეს ამოცანები, პარტია იბრძოლებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ განამტკიცოს და გააფართოოს მეცნიერებისა და პრაქტიკის შემოქმედებითი თანამშრომლობა და მჭიდრო კავშირი, მეცნიერების ყველა უახლესი მიღწევა მოახმაროს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ჩვენი ხალხის ცხოვრების შემდგომ განუწყვეტელ გაუმჯობესებას.

საბჭოთა სოციალისტურ წყობილებას უდიდესი, ჭეშმარიტად დაუშრეტელი შესაძლებლობანი მოეპოვება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი, კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ძირითად და მთავარ ამოცანად მიაჩნია მთლიანად გამოიყენოს ეს შესაძლებლობანი, რათა უზრუნველყოს საბჭოთა საზოგადოების შემდგომი ყოველმხრივი პროგრესი, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განუწყვეტელი და სწრაფი განვითარება. რაც უფრო განავითარებს საბჭოთა ხალხი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, რაც უფრო მეტ პროდუქციას მოგვცემს ჩვენი მრეწველობა და ჩვენი სოფლის მეურნეობა, მით უფრო მალე გადავწყვეტთ პროდუქტების სიუხვის შექმნის დიად ამოცანას და უზრუნველვყოფთ კომუნიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განუწყვეტელი ზრდა. ჩვენი სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის საფუძველია მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურყევი კავშირი, მთელი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

კომუნისტურმა პარტიამ გამოჭედა მუშათა კლასის მტკიცე კავშირი მშრომელ გლეხობასთან, გადააქცია იგი იმ გადამწყვეტ ძალად, რომელმაც უზრუნველყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ეს დიადი ძალა უზრუნველყოფს ჩვენს ახალ და ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის სახელოვან გზაზე. მუშათა და გლეხთა კავშირის შემდგომი განმტკიცება იმის პირობაა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ეს კავშირი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების განმტკიცების საფუძველია.

თავისი ეროვნული პოლიტიკით კომუნისტურმა პარტიამ აღმოფხვრა შუღლი და მტრობა ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის, მჭიდროდ დარაზმა ისინი ერთიან ძმურ ოჯახად, გამოჭედა თანასწორუფლებიან ხალხთა ურღვევი მეგობრობა — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს უძლეველი ძალების წყარო, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების პირობა. ეს მეგობრობა იშვა და განმტკიცდა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთობლივ ბრძოლაში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის წინააღმდეგ. ეს მეგობრობა განმტკიცებულია სსრ კავშირის ხალხთა სისხლით, რომელიც მათ დაღვარეს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში. ეს მეგობრობა შედუღაბებულია საერთო შემოქმედებითი შრომით და ურთიერთდახმარებით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის წლებში. ურღვევი და ურყევია ეს დიადი, ძმური მეგობრობა, და მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი დარღვევა! სსრ კავშირის ხალხთა ამ ურღვევი მეგობრობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, რომელსაც მიმდინარე წელს აღვნიშნავთ როგორც უკრაინელი, რუსი და საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

კომუნისტურ პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია ის, რომ კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა — ჩვენი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველი ძალის ეს საფუძველი.

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას წმიდათაწმიდად მიაჩნიათ ჩვენი ხალხის სურვილი — უზრუნველყოს მშვიდობიანი შრომა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლება. ამიტომ პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ არ დაუშვან ახალი ომი, რომ ხალხები ცხოვრობდნენ მშვიდობით, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელი და გარკვეულია. ეს არის ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა. იგი გამოაცხადა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა დიდმა ლენინმა, რომელმაც გვიჩვენა, რომ შესაძლებელია ორი სხვადასხვა ეკონომიური სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობა. კაპიტალიზმის ბანაკის მხოლოდ ყველაზე ბეც პოლიტიკოსებს შეუძლიათ მშვიდობისადმი ჩვენი განუხრელი და გულწრფელი მისწრაფება შეაფასონ როგორც საბჭოთა სახელმწიფოს სისუსტის ნიშანი. გაანადგურა რა ჰიტლერული გერმანია, რომელმაც ევროპის ბევრი ქვეყანა დაიმონა, საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი და გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყოველ აგრესორს.

ომისშემდგომ წლებში ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და უძლეველი გახდა. მას აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დაიცვას ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა და ჭკუა ასწავლოს ყველას, ვინც გაბედავს ხელყოს ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ არ გვაშინებს არავითარი აგრესორის მუქარა, მაგრამ მტკიცედ და თანმიმდევრულად ვიცავთ მშვიდობას ჩვენი ხალხისა და მთელი დედამიწის ხალხთა ინტერესებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არ არსებობს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ისეთი სადავო საკითხი, რომლის გადაჭრა არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა დადასტურებულია მთელი მისი საქმეებით. ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა კოლოსალურად განსხვავდება ურწმუნოებისა და ომის ფსიქოზის ატმოსფერო, რომელსაც ხელოვნურად ქმნიან კაპიტალისტურ ქვეყნებში, მშვიდობიანი, შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომის ვითარებისაგან, სიმშვიდისა და მტკიცე რწმენის ატმოსფეროსაგან, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია სოციალიზმის ქვეყნისათვის. ყველა ხედავს, რომ საბჭოთა ადამიანების მთავარი საზრუნავი და ყველაზე მხურვალე სურვილია იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან. ამაში შეიძლება დარწმუნდეს ყოველი ობიექტური, მიუკერძებელი ადამიანი, საკმარისია მხოლოდ ნახოს ჩვენი ქალაქები და სოფლები, საბჭოთა ხალხის შთაგონებული მშვიდობიანი შრომა. ჩვენს სამშობლოს მშვიდობის მქადაგებელსა და მედროშეს უწოდებს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი. ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დროშა წმიდაა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის! ჩვენ მაღლა გვიჭირავს და კვლავაც მაღლა დავიჭერთ ამ დიად, კეთილშობილურ დროშას.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა სახელმწიფოსთან მჭიდრო ძმური ერთიანობით იბრძვიან მშვიდობისათვის ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის მძლავრი ძალა გახდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირთან ერთად იზრდება და მტკიცდება მთელი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე ბანაკი, იზრდება და ფართოვდება ხალხთა მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ბრძოლას მშვიდობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომი განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ განამტკიცოს საბჭოთა ხალხის მეგობრობა და თანამშრომლობა დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყოველი ღონისძიებით განავითაროს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა და დაამყაროს მეგობრული დამოკიდებულება დედამიწის ყველა ქვეყანასთან.

ფხიზლად დგას რა ხალხის ინტერესების, მისი მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, კომუნისტურ პარტიას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს, რომ საზღვარგარეთ არიან რეაქციული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ცდილობენ გაამწვაონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა, გააჩაღონ ახალი ომი. ამიტომ, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობის პოლიტიკას, მთელი ძალღონით იცავს რა ყველა ხალხისათვის დიად და წმიდა საქმეს — მშვიდობის საქმეს, პარტიას საჭიროდ მიაჩნია დაუცხრომლად სრულყოს და განამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რათა უზრუნველყოს ჩვენი სამშობლოს უშიშროება.

საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ, სამუდამოდ მოსპო რა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ხელისუფლების სათავეში ჩააყენა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები, შექმნა მთელი საბჭოთა საზოგადოების ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ეს წყობილება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებაა. საბჭოთა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობენ ხალხის უაღრესად ფართო მასები. ჩვენი ხალხი თავის საუკეთესო შვილებს ირჩევს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

კომუნისტური პარტია თავის ამოცანად ისახავს დაუცხრომლად განავითაროს ჩვენი საბჭოთა, სოციალისტური დემოკრატია, მიაღწიოს იმას, რომ მილიონობით მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ და აქტიურად იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. პარტია შეურიგებლად იბრძვის და კვლავაც შეურიგებლად იბრძოლებს საბჭოთა აპარატის ცალკეულ რგოლებში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნილებისადმი უყურადღებობის, უგულებელყოფის ფაქტების წინააღმდეგ, დაუცხრომლად განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებას, რომელიც იცავს ჩვენი სამშობლოს მოქალაქეთა წმიდა და ურყევ უფლებებს, რომლებიც ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა სახელმწიფოს ოცდათექვსმეტი წლის არსებობამ უცილობლად და თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რა უდავო, მსოფლიო-ისტორიული უპირატესობანი აქვს სოციალიზმს კაპიტალიზმთან შედარებით. სოციალიზმი — ეს არის საწარმოო ძალების აყვავება, ეს არის თავისუფალი და მშვიდობიანი შრომა თავისთვის, მთელი საზოგადოებისათვის, ეს არის ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ხალხთა თანასწორუფლებიანობა და მეგობრობა, იგი მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის თანმიმდევრული ბრძოლაა. კაპიტალიზმი — ეს არის ეკონომიური კრიზისები, მშრომელთა ულმობელი მხეცური ექსპლოატაცია, უმუშევრობის საშინელება, სიღატაკე და შიმშილი საზოგადოების ერთ პოლუსზე, ფუფუნება და ზღაპრული მოგება მეორე პოლუსზე; კაპიტალიზმი — ეს არის ეროვნული ჩაგვრის, ხალხთა შორის მტრობისა და ომების გაჩაღების პოლიტიკა.

ყველა ხედავს, თუ როგორ ემატება ჩვენს ქვეყანას ახალი, სისხლსავსე ცხოველმყოფელი ძალები, როგორ დაძლია და გადალახა მან ომით წარმოშობილი უზომო სიძნელენი, როგორ უმჯობესდება ხალხის ცხოვრება, რა მტკიცედ მივდივართ წინ აყვავების გზით. რას დაუპირისპირებს ამას კაპიტალისტური სამყარო? იგი ეკონომიური დაქვეითების და გაჭირვებისა და სიღატაკის შემდგომი გამწვავების მძიმე პერსპექტივებს უქადის ხალხებს. სამხედრო მრეწველობის ვერავითარი ხელოვნური გაბერვა ვერ იხსნის კაპიტალიზმის ქვეყნებს ეკონომიური კრიზისისაგან, რომელიც ულმობლად უახლოვდება მათ და რომლის ნიშნებიც სულ უფრო აშკარა და მრისხანე ხდება. მატულობს უმუშევრობა, იკვეცება მრეწველობის მშვიდობიანი დარგები. იქ განუწყვეტლივ იზრდება პირველი საჭიროების საქონლის ფასები, მატულობს გადასახადები, სულ უფრო ქვეითდება მშრომელთა ცხოვრების დონე. ძლიერდება შინაგანი რეაქცია, ყოველნაირად აღვივებენ ომის ფსიქოზს, რომელიც კოლოსალურ მოგებას აძლევს კაპიტალისტურ მონოპოლიებს.

ეყრდნობა რა საბჭოთა, სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

მთელ თავის საქმიანობაში პარტია ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით, ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის უკვდავი შემქმნელისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბრძნული ანდერძით.

მიდის რა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით, სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი სამშობლოს ხალხები. ახორციელებს რა ლენინის ანდერძს, პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, მუშათა და გლეხთა ურღვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას, დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში არის ყველაფერი, რაც საკმარისი და საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გადაუჭრელი სამეურნეო ამოცანებიც, გვაქვს ზრდის ერთგვარი სიძნელეებიც. იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ ჩვენი გადაუდებელი ამოცანები, დავძლიოთ ნაკლოვანებანი და სიძნელენი, საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა. კომუნისტური პარტია იბრძვის იმისათვის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გაბედულად და უშიშრად ამხილებდეს მუშაობის ნაკლოვანებებს, კიდევ უფრო აქტიურად ეხმარებოდეს პარტიას ამ ნაკლოვანებათა უფრო სწრაფად აღმოფხვრაში.

პარტიამ ჩვენი ქვეყანა მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებამდე იმიტომ, რომ იგი, არის რა მშრომელთა მოწინავე რაზმი, მუდამ ეყრდნობოდა და ეყრდნობა ხალხის ნდობას, მილიონობით ადამიანის შემოქმედებითს აქტივობას. პარტიას დიდად სწამს ხალხის ძალა, მისი რევოლუციური ენერგია, იგი მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან. პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობა — აი ყველა ჩვენი გამარჯვების ცხოველმყოფელი წყარო, კომუნიზმის გზით ჩვენი მტკიცე წინსვლის საფუძველი.

ამ ერთიანობის მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტებისა და უპარტიოების საარჩევნო ბლოკი. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტური პარტია გამოდის პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად. დეპუტატობის კანდიდატები საერთოა როგორც კომუნისტებისათვის, ისე უპარტიოებისათვის.

ყველა წინა არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი მუდამ იმარჯვებდა. ამ ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ჩვენი ხალხი სრულ ნდობას უცხადებდა კომუნისტურ პარტიას, იწონებდა და მხარს უჭერდა მის პოლიტიკას.

კომუნისტურ პარტიას იმედი აქვს, რომ მომავალ არჩევნებში ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას კანდიდატებს, რომლებსაც კომუნისტები ასახელებენ უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან ერთად, კვლავ გამოუცხადებს ნდობას პარტიას და მოიწონებს მის პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს.

სრული იმედი აქვს რა, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ერთსულოვნად იქნებიან არჩეული კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები, რომ ამომრჩევლებს ესმით პარტიის პოლიტიკა და იწონებენ მას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს — მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს — კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტს ხმა მისცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის უპარტიო კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნებით, როგორც კომუნისტ კანდიდატებს. კომუნისტურ პარტიას იმედი აქვს, რომ უპარტიო ამომრჩევლები ხმას მისცემენ დეპუტატობის კომუნისტ კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნებით, როგორც უპარტიო კანდიდატებს.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ამომრჩევლები ხმას მისცემენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას — ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომ აყვავებას და სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და ძალის ყოველნაირად განმტკიცებას და ახალ წარმატებებს მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ 1954 წლის 14 მარტს ერთსულოვნად მიხვიდეთ საარჩევნო ყუთებთან. არ უნდა დარჩეს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც არ გამოიყენებს თავის საპატიო უფლებას — აირჩიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. დაე 1954 წლის 14 მარტი გახდეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, პარტიის, მთავრობისა და ხალხის მჭიდრო ერთიანობის ახალი, მძლავრი დემონსტრაცია.

ყველანი არჩევნებზე!

ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის ურღვევ ერთიანობას!

ლენინ—სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ფრუნზეს № 414 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ასს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **თამაზ ბესარიონის-ძე ჯანელიძე.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზესტაფონის № 134 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სოფლის მეურნეობის მინისტრი **მიხეილ პორფირეს-ძე გიორგაძე.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის შაუმიანის № 412 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ასს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსანდრე დურსუნის-ძე თხილაიშვილი.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჩაქვის № 417 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ასს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **სულეიმან ჯემალის-ძე ბაჟუნაიშვილი.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ფოთის № 128 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა **ნიკოლოზ ეფრემის-ძე ბასისტი.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 137 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი **შალვა სპირიდონის-ძე შეყლაშვილი.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ურეხის № 419 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ასს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა **ნიკოლოზ ლავრენტის-ძე ოსიპი.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხულოს № 421 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ასს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა ხულოს ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი **ეთერ ბარათალის ასული აბულაძე.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შუახევის № 422 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ასს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **არჩილ მიხეილის-ძე ბერიძე.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხელვაჩაურის № 418 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ასს რესპუბლიკიდან რეგისტრაციაში გაატარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული და სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, პროფესორი **მიხეილ კონსტანტინეს-ძე ჩაჩავა.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 632 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ქალაქ ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **თამარ რაჟდენის ასული მოდებაძე.** (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

დავით ზაქარიას-ძე რომელაშვილი

ამხ. დ. ზ. რომელაშვილი დაიბადა 1915 წელს მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში ღარიბი გლეხის ოჯახში.

1934 წლიდან 1940 წლამდე იგი სწავლობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

1931 წელს ამხ. დ. ზ. რომელაშვილი შედის საკავშირო ალკკ, ხოლო 1939 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1939 წლის დეკემბერში არჩეულ იქნა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში.

1940 წლის სექტემბერში ამხ. დ. ზ. რომელაშვილი გაიგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, სადაც სწავლობდა 1941 წლის ოქტომბრამდე.

1941 წლის ნოემბრიდან 1942 წლის აპრილამდე მუშაობდა ჯერ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გლეხი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ მიწსახკომის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწედ კომკავშირის ხაზით.

1942 წლიდან ომის დამთავრებამდე ამხ. დ. ზ. რომელაშვილი არმიაში იყო ხელმძღვანელ პარტიულ-პოლიტიკურ სამუშაოზე, მონაწილეობდა ბრძოლებში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

უმაღლესი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. დ. ზ. რომელაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1950 წელს ამხ. დ. ზ. რომელაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1953 წლის აპრილში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

ამხ. დ. ზ. რომელაშვილი დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

ამხ. დ. ზ. რომელაშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ემილ ალექსის-ძე სეხნიაშვილი

ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი დაიბადა 1924 წელს ქ. თელავში. 1946 წელს დაამთავრა ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, შემდეგ შევიდა ასპირანტურაში.

1945 წლიდან ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი სპეციალობის მიხედვით მუშაობს. 1946 წლიდან 1947 წლამდე იყო საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტოსაგზაო საქმის კათედრის ასისტენტი. 1950-1952 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1951 წლიდან ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა. იგი მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების ინსტრუქტორად, განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1952-1953 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგედ და მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1954 წლის იანვარში ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი 1939 წელს შევიდა საკავშირო ალკკ რიგებში, 1944 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია.

ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, აქვს სამეცნიერო შრომები.

ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუა

ამხ. ა. მ. ჭოჭუა დაიბადა 1879 წელს აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში, მშრომელი გლეხის ოჯახში.

იგი პატარაობიდანვე მუშაობდა დაქირავებით. 1905 წელს დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი.

1921 წლის მარტიდან ამხ. ა. მ. ჭოჭუა აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლების განყოფილების გამგე და სოხუმის 1-ლი შვიდწლიანი სკოლის დირექტორია. შემდგომ წლებში მუშაობს აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ და სახალხო კომისრად, ინსტიტუტის დირექტორად.

1921-დან 1938 წლამდე ამხ. ა. მ. ჭოჭუა აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო, ხოლო 1927 წლიდან 1931 წლამდე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1938 წელს არჩეულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო შემდეგ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამხ. ა. მ. ჭოჭუა 1947 წელს არჩეულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, შემდეგ პრეზიდიუმის წევრად და პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ამხ. ა. მ. ჭოჭუა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1938 წლიდან. მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე აღნიშნულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით. ამხ. ა. მ. ჭოჭუა სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

დავით მიხეილის-ძე მამულაძე

ამხ. დ. მ. მამულაძე დაიბადა 1910 წელს აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელ თხილვანში ღარიბი გლეხის ოჯახში.

1930 წლიდან 1933 წლამდე ამხ. დ. მ. მამულაძე მუშაობდა ხულოს კოლმეურნეობათა რაიონული კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ და რაიმიწგანის გამგის მოადგილედ. 1935 წელს მან დაამთავრა ამიერკავკასიის უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

1935 წლიდან ამხ. დ. მ. მამულაძე იმყოფებოდა ხელმძღვანელ საბჭოთა სამუშაოზე — განაგებდა ხულოს, ხოლო შემდეგ ქობულეთის რაიმიწგანს, იყო ხულოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

1948 წლიდან 1951 წლამდე ამხ. დ. მ. მამულაძე სწავლობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

უმაღლესი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. დ. მ. მამულაძე დაინიშნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1953 წლიდან ამხ. დ. მ. მამულაძე მუშაობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1954 წლის იანვარში ამხ. დ. მ. მამულაძე არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამხ. დ. მ. მამულაძე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით.

მიხეილ [illegible]-ძე გიორგაძე

ამხ. მ. პ. გიორგაძე დაიბადა 1912 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ ზოდში.

1929 წელს, შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, ამხ. მ. პ. გიორგაძე იწყებს შრომითს ცხოვრებას როგორც ტრაქტორისტი.

1934 წელს ამხ. მ. პ. გიორგაძე სასწავლად იგზავნება მოსკოვის მოლოტოვის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1941 წელს.

1941 წლიდან 1947 წლამდე ამხ. მ. პ. გიორგაძე თანმიმდევრობით მუშაობს სსრ კავშირის მიწსახკომის განყოფილების ინჟინრად, მთავარ ინჟინრად, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროსად. 1942 წელს იგი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. 1947 წელს ინიშნება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების მთავარი სამმართველოს ამიერკავკასიის სამმართველოს უფროსად. 1951 წლიდან 1953 წლამდე ამხ. მ. პ. გიორგაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველოს უფროსია. 1953 წლის სექტემბერში ამხ. მ. პ. გიორგაძე ინიშნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად, ხოლო 1953 წლის ოქტომბერში—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ამხ. მ. პ. გიორგაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლით.

გრიგოლ გიორგის-ძე სანაკოევი

ამხ. გ. გ. სანაკოევი დაიბადა 1914 წელს საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ახლანდელი ჯავის რაიონის სოფელ ჯავაში.

1931 წლიდან ამხ. გ. გ. სანაკოევი ხელმძღვანელ კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზეა.

1943-დან 1947 წლამდე ამხ. გ. გ. სანაკოევი მუშაობდა საქართველოს კ. პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ, შემდეგ სწავლობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

უმაღლესი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. გ. გ. სანაკოევი მუშაობდა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად და შემდეგ პარტიის სტალინირის რაიკომის პირველ მდივნად.

1952 წლიდან ამხ. გ. გ. სანაკოევი მუშაობდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ.

1953 წელს ამხ. გ. გ. სანაკოევი არჩეულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

ამხ. გ. გ. სანაკოევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1939 წლიდან. იგი საქართველოს კ. პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის წევრი და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატია.

ამხ. გ. გ. სანაკოევი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით.

მარიამ ნიკოლოზის ასული ჯოხაძე



ამხ. მ. ნ. ჯოხაძე დაიბადა 1922 წელს ქ. გორში.

1940 წელს ამხ. მ. ნ. ჯოხაძე შევიდა საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1947 წელს და მიიღო ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობა.

ამხ. მ. ნ. ჯოხაძემ 1948 წელს მუშაობა დაიწყო გორის პურის კომბინატში მორიგე ლაბორანტად. 1949 წელს იგი დაწინაურებულ იქნა ამ საწარმოს ტექნიკური ხელმძღვანელის პოსტზე და დღემდე ამ თანამდებობაზე მუშაობს.

ამხ. მ. ნ. ჯოხაძე აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი არჩეულია გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად, საქალაქო საბჭოს მუდმივი საბიუჯეტო კომისიის წევრია.

ამხ. მ. ნ. ჯოხაძე უპარტიოა. იგი ენერგიული, გულისხმიერი მუშაკია, სარგებლობს ნდობითა და ავტორიტეტით პურის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის და ქალაქის მოსახლეობაში.

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, — დაიბადა 1891 წელს.

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილი 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. 1941 წელს მას მიენიჭა 1-ლი ხარისხის სტალინური პრემია ნაშრომისათვის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა". 1947 წელს ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილს მეორედ მიენიჭა სტალინური პრემია.

1945 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1940 წლიდან.

ამჟამად ნ. ი. მუსხელიშვილი არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი დაჯილდოებულია ლენინის სამი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილი სსრ კავშირის სამივე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სერგი მეძოს-ძე იგითიანი

ამხ. ს. მ. იგითიანი დაიბადა 1916 წელს საქართველოს სსრ ახალქალაქის რაიონის სოფელ კარწახში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

1939 წელს ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ორი კურსის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხ. ს. მ. იგითიანი საბჭოთა არმიის რიგებში იყო და გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ იბრძოდა.

დემობილიზაციის შემდეგ სამშობლო სოფელში რომ დაბრუნდა, ამხ. ს. მ. იგითიანი არჩეულ იქნა შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის, ხოლო შემდეგ ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1952 წლიდან დღემდე ამხ. ს. მ. იგითიანი მუშაობს სოფელ კარწახის კალინინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

ამხ. ს. მ. იგითიანი გამოცდილი, ენერგიული მუშაკია, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის.

1952 წლიდან ამხ. ს. მ. იგითიანი პარტიის ახალქალაქის რაიკომის წევრია, ხოლო 1953 წელს არჩეულ იქნა ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად.

1942 წელს ამხ. ს. მ. იგითიანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა.

ამხ. ს. მ. იგითიანი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და სამი მედლით.

ქსენია ერმილეს ასული ბახტაძე



საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი ამხ. ქ. ე. ბახტაძე დაიბადა 1899 წელს ქ. თბილისში. უმაღლესი აგრონომიული განათლების მიღების შემდეგ ამხ. ქ. ე. ბახტაძე სპეციალობის მიხედვით მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებაში.

1921-დან 1927 წლამდე იგი თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერი მუშაკი იყო, ხოლო შემდეგ მუშაობდა გარდაბნის მემინდვრეობის საცდელ სადგურში. 1927 წლიდან დღემდე ამხ. ქ. ე. ბახტაძე მუშაობს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის ჩაის განყოფილების გამგედ.

ამხ. ქ. ე. ბახტაძეს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი აქვს. მან დაწერა 35 მეცნიერული შრომა ჩაის კულტურისა და სუბტროპიკების სელექციის შესახებ. ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანისათვის მას სტალინური პრემია მიენიჭა. ამხ. ქ. ე. ბახტაძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1950 წლიდან. არჩეულია პარტიის ქობულეთის რაიკომის წევრად.

ამხ. ქ. ე. ბახტაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

გერმანიის საკითხი და სამი სახელმწიფოს პოზიცია

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე 1954 წლის 9 თებერვალს

დღეს უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ გერმანიის საკითხის განხილვის ზოგიერთ შედეგზე.

საბჭოთა მთავრობამ შემოიტანა თავისი წინადადებანი „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ". გარდა ამისა, ჩვენ შემოვიტანეთ წინადადებანი საკითხზე „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისა და გერმანიის საზავო ხელშეკრულებისათვის საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ".

9 წელი გავიდა ომის დამთავრების დროიდან. მაშ რატომ უნდა დავტოვოთ ისეთი მდგომარეობა, რომ გერმანელმა ხალხმა არ იცოდეს, რას უნდა მოელოდეს მშვიდობიანი მოწესრიგებისაგან? სასურველია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია საზავო ხელშეკრულების საკითხზე ისევე, როგორც ეს საბჭოთა მთავრობამ გააკეთა. საჭიროა შემდეგშიც აღარ აარიდონ თავი ამას.

საბჭოთა მთავრობამ შემოიტანა წინადადება, რომ არაუგვიანეს 1954 წლის ოქტომბრისა მოეწყოს საზავო კონფერენცია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების განსახილველად.

შემოჰქონდა რა თავისი წინადადებანი გერმანიის საკითხზე, საბჭოთა დელეგაცია ითვალისწინებდა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა უკვე წელს დამთავრდეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება და დადება. ამით დაინტერესებული არიან როგორც გერმანელი ხალხი, ისე ევროპის სხვა ხალხები, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ინგლისის ხალხები, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ გერმანიის აგრესიისაგან და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ჰიტლერიზმზე გამარჯვებაში. საჭიროა, რომ, ჩვენი ოთხი სახელმწიფოს გარდა, სხვა ქვეყნებმაც, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ისეთებმა, როგორიც არიან პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, საბერძნეთი და სხვ., არა მარტო მიიღონ მონაწილეობა საზავო კონფერენციაში გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად, არამედ აგრეთვე ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია მისი მომზადების მსვლელობაში.

ამ საზავო კონფერენციაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობა უნდა მიიღონ გერმანიის წარმომადგენლებმაც. მხედველობაში გვაქვს, რომ საზავო ხელშეკრულების მომზადების ყველა სტადიაზე უზრუნველყოფილი იქნება გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობა. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნამდე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობამ წინადადება შემოიტანა დაევალოს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებს 3 თვის განმავლობაში მოამზადონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი. ეს მუშაობა მოადგილეებს შეუძლიათ დაიწყონ ამ თათბირის დამთავრებისთანავე.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებს დღემდე არ წარმოუდგენიათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების თავიანთი პროექტები. აქ მათ არაფერი უთქვამთ იმაზე, რომ შეიძლება ახლავე შევუდგეთ ასეთი საზავო ხელშეკრულების მომზადებას.

დასმული საკითხები პასუხს მოითხოვენ.

საბჭოთა მთავრობამ დასვა საკითხი გერმანიის იმ ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან.

ჯერჯერობით მხოლოდ ბ-ნმა დალესმა გამოთქვა აზრი ამასთან დაკავშირებით. მისი გამოსვლის აზრი ის არის, რომ იგი წინააღმდეგია საბჭოთა წინადადებებისა დასავლეთ გერმანიის ფინანსურ-ეკონომიური ვალდებულებათა შემსუბუქების შესახებ. მან ილაპარაკა „განსაცვიფრებელ პროგრესზე" დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის აღდგენის საქმეში. მაგრამ მას რატომღაც არ უთქვამს, რომ მრეწველობის აღმავლობამ აღმოსავლეთ გერმანიაში უფრო მაღალ დონეს მიაღწია, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში. მას აგრეთვე არ უთქვამს, რომ დასავლეთ გერმანიაში უმუშევართა რიცხვმა 2 მილიონს მიაღწია და კვლავ მატულობს, აღმოსავლეთ გერმანიაში კი უმუშევრობა არ არის.

ბ-ნმა დალესმა თავი აარიდა ჩვენს წინადადებას საოკუპაციო ხარჯების შემცირების შესახებ, ეს კი დიდმნიშვნელოვანი საკითხია. რატომ გახდა შესაძლებელი 1954 წელს შეგვემცირებინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საოკუპაციო ხარჯები მისი ბიუჯეტის შემოსავლის 4,5 პროცენტამდე, ხოლო დასავლეთ გერმანიაში საოკუპაციო ხარჯები გადიდდა 34,5 პროცენტამდე და 9,6 მილიარდ მარკას შეადგენს? რატომ უარყოფენ საბჭოთა წინადადებას, რომ საოკუპაციო ხარჯები შემცირდეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის 5 პროცენტამდე? საყურადღებოა, რომ საბჭოთა წინადადებას საოკუპაციო ხარჯების შემცირების შესახებ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობამაც არ დაუჭირა მხარი. როგორც ჩანს, ეს მთავრობა დაინტერესებული არ არის იმით, რომ შეუმსუბუქოს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას გადასახადების ტვირთი, რომელიც იქ სწრაფად იზრდება. ან იქნებ ეს პოზიცია უნდა გავიგოთ ისე, რომ უკვე ახლა იმ თანხების რაიმე წილი, რომლებიც ბიუჯეტის საოკუპაციო მუხლებით იხარჯება, ხმარდება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის მიზნებს?

საჭირო იყო ამ საკითხებზე მკაფიო პასუხი გაეცათ.

აქ ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების საკითხზე, რის შედეგადაც შესაძლო იქნებოდა სრულიად გერმანიის პარლამენტის არჩევა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნა. ამ საკითხზე გამოითქვა აგრეთვე დასავლეთის სამი სახელმწიფოს თვალსაზრისი.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ის არის, რომ არ უნდა გადაიდოს შესაძლებელი პრაქტიკული ღონისძიებანი გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებლად. ეს გერმანიის გაერთიანების დიდმნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა.

ამ მიზნით ჩვენ წინადადება შევიტანეთ, რომ ჩვენმა ოთხმა სახელმწიფომ დახმარება გაუწიოს გერმანელ ხალხს — განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის პოზიციების დაახლოებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა, რომელიც შედგება დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის პარლამენტების წარმომადგენლებისაგან, სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების მონაწილეობით, სავსებით შეესაბამება ამ მიზანს. სრულიად გერმანიის დროებით მთავრობას შეიძლებოდა ჰქონოდა შეზღუდული ფუნქციები. მისი ძირითადი ამოცანაა მოკლე ვადაში მოაწყოს სრულიად გერმანიის არჩევნები ნამდვილი თავისუფლების პირობებში, როცა აღიკვეთება უცხოეთის საოკუპაციო ჯარების ზეგავლენა არჩევნებზე. ამის შედეგად მიმდინარე წელსვე შეიძლებოდა შეკრებილიყო სრულიად გერმანიის ეროვნული კრება, რომელიც შეიმუშავებდა სრულიად გერმანიის კონსტიტუციას და შექმნიდა სრულიად გერმანიის სრულუფლებიან მთავრობას. ეს მოასწავებს გერმანიის ერთიანობის აღდგენას დემოკრატიულ საწყისებზე, ნორმალური პარლამენტური რეჟიმის დამყარებას და სრულიად გერმანიის ისეთი მთავრობის შექმნას, რომელიც გამოხატავს გერმანელი ხალხის თავისუფალ ნებას.

ჩვენ გვეუბნებიან, თითქოს არასგზით არ შეიძლებოდეს ერთ მაგიდასთან დავსხათ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელები. ამას იმით ასაბუთებენ, რომ გერმანიის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა სახელმწიფო რეჟიმია.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ აღმოსავლეთ გერმანიისა და დასავლეთ გერმანიის რეჟიმები, მართლაც, სხვადასხვაა. მაგრამ განა არ უნდა შევუწყოთ ხელი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის დაახლოებას, რათა გავაადვილოთ და დავაჩქაროთ გერმანიის გაერთიანება? განა რეჟიმების სხვადასხვაობის გამო შეუძლებელია თუნდაც ის, რომ გათიშული გერმანიის ორივე ნაწილის გერმანელებმა ერთად იმოღვაწონ გერმანელი ხალხის საერთო სარგებლობისათვის, გერმანიის აღდგენისათვის დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე?

ხომ განვიხილავთ ჩვენ ოთხი სახელმწიფოს მინისტრების ამ თათბირზე გერმანიის საკითხსაც და სხვა პრობლემებსაც, თუმცა ისეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ვართ, რომელთა რეჟიმები უაღრესად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები ცდილობენ ერთობლივად გადაჭრან ზოგიერთი რთული საერთაშორისო პრობლემა, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი რომ გერმანიის ორი ნაწილის წარმომადგენლები შეეცადონ შეთანხმდნენ გერმანიის სახელმწიფოს გაერთიანების საკითხებზე? არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმასაც, რომ ამ თათბირში მონაწილეობენ ოთხი სახელმწიფოს, ესე იგი სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლები, ხოლო როცა საქმე ეხება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას, ლაპარაკია ერთი და იმავე ხალხის — გერმანელი ხალხის წარმომადგენელთა შეხვედრასა და ერთად მუშაობაზე.

შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობაში არ არიან კომუნისტები, აგრეთვე დემოკრატები, რომლებიც თანახმა იქნებიან მათთან ერთად იმუშაონ. აქედან თითქოს გამოდის, რომ შეუძლებელია თუნდაც დროებით მონაწილეობდნენ მთავრობაში კომუნისტები და არაკომუნისტები. მაგრამ ეს მსჯელობაც სრულიად უსაფუძვლოა.

ევროპის ომისშემდგომი განვითარება სხვა რამეს მოწმობს. ახლა ცოტა როდია ისეთი ქვეყანა, სადაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისე, თუ მთავრობაში მონაწილეობას არ იღებენ კომუნისტები. რატომ არ უნდა შეეძლოთ კომუნისტებსა და არაკომუნისტებს შევიდნენ სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შემადგენლობაში, რათა ერთად უზრუნველყონ სრულიად გერმანიის ნამდვილად თავისუფალი არჩევნების მოწყობა. ასეთი თავისუფალი არჩევნების შედეგად შეიკრიბებოდა სრულიად გერმანიის ეროვნული კრება, იგი აირჩევდა სრულუფლებიან მთავრობას, რომელიც შეესაბამება გერმანელი ხალხის თავისუფალ ნებას.

ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს საქმეთა ამ ნორმალურ დემოკრატიულ განვითარებას, ბ-ნ იდენის მიერ წარმოდგენილი სამი სახელმწიფოს გეგმა სახავს სხვა მიმართულებას, რომელიც ხელს უშლის გერმანიის გაერთიანებას. იგი გვითრევს დაუსრულებელ დავაში გერმანიის გაერთიანების „ხუთი სტადიის" შესახებ. ამასთან ერთად ეს გეგმა იმას იწვევს, რომ განუსაზღვრელად დიდი ხნით გადაიდოს როგორც გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების, ისე გერმანიის გაერთიანების ყველა პრაქტიკული ღონისძიება.

საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძირითად დემოკრატიულ პრინციპს, რითაც იგი ხელმძღვანელობს თავის წინადადებებში, რომელთა მიზანია გერმანიის რაც შეიძლება მალე გაერთიანება. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ პრინციპის აღიარებით, რომ გერმანია უნდა გააერთიანონ თვით გერმანელებმა და არა უცხოეთის საოკუპაციო ხელისუფლებმა. რამდენადაც დასავლეთის სამი სახელმწიფოს გეგმის მიზანი ის არის, რომ სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობა მთლიანად საოკუპაციო ჯარების ხელში იყოს, იგი იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას.

სრულიად გერმანიის არჩევნების თავისუფლების უზრუნველყოფისა და იმისათვის, რომ დაშვებულ არ იქნას უცხოეთის საოკუპაციო ჯარების რაიმე ზეგავლენა არჩევნებზე, საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჯერ კიდევ სრულიად გერმანიის არჩევნებამდე განხორციელდეს საოკუპაციო ჯარების გაყვანა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიიდან, და აქ დატოვებულ იქნას მხოლოდ განსაზღვრული კონტინგენტები. ჩვენს თათბირზე გამოთქმული მოსაზრებანი საოკუპაციო ჯარების აღნიშნული გაყვანის წინააღმდეგ დამყარებულია სხვადასხვაგვარ ხელოვნურ ვარაუდებზე, მაგრამ ეს მოსაზრებული სერიოზული საბუთებით არ დაუდასტურებიათ.

ჩვენმა თათბირმა აღიარა, რომ გერმანიის პრობლემის გადაჭრა მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანებთან. ეს შეესაბამება როგორც ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს, ისე აგრეთვე ოთხი სახელმწიფოს წინანდელ შეთანხმებებს გერმანიის საკითხზე.

ამ საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო მე კვლავ უნდა მოგაგონოთ, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტში ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მე-7 მუხლს, რომელშიც ნათქვამია:

„გერმანია კისრულობს არ შევიდეს რაიმე კოალიციაში ან სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვინც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდა გერმანიის წინააღმდეგ ომში".

მშვიდობის ინტერესების თვალსაზრისით შეუძლებელია ავხსნათ მოსაზრებანი ამ პრინციპის წინააღმდეგ. ამავე დროს, აქ გამოთქმული იყო ასეთი მოსაზრებებიც.

ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად, რომ გაერთიანებული გერმანია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შევიდეს რაიმე სამხედრო ბლოკში დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ. სწორედ ასევე ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად, რომ გაერთიანებული გერმანია შევიდეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების რაიმე სამხედრო ბლოკში, რომელიც მიმართული იქნება აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგ.

ამავე დროს, უკვე ახლა არის ამგვარი ცდები.

დასავლეთ გერმანიის შეყვანა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში", როგორც ამას ითვალისწინებს პარიზის ხელშეკრულება, ისახავს მიზნებს, რომლებიც შეუთავსებელია ევროპის უშიშროების ინტერესებთან. ამ ხელშეკრულებით ცდილობენ დასავლეთ ევროპის სამხედრო დაჯგუფებაში შეიყვანონ დასავლეთი გერმანიაც. ეს არ შეესაბამება ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. ეს, ჩვენი აზრით, არის ერთ-ერთი ნაბიჯი ევროპაში ახალი ომის მოსამზადებლად.

აქ არაერთხელ ამტკიცებდნენ, რომ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში" დასავლეთ გერმანიის შეყვანის გეგმა არ ბოჭავს გერმანელებს გერმანიის გაერთიანების საქმეში და თითქოს არ ზღუდავს მომავალი გაერთიანებული გერმანიის თავისუფლებას.

ჩვენ კვლავ ვაცხადებთ, რომ ეს მტკიცებანი არ შეესაბამება სინამდვილეს, რასაც მოწმობს შემდეგი:

ჯერ ერთი.

როგორც ცნობილია, პარიზის ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ და ბონის ხელშეკრულება, ერთი მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის და მეორე მხრივ დასავლეთ გერმანიის შემდგომი ურთიერთობის შესახებ, მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. ბონის ხელშეკრულებით ორივე ეს შეთანხმება ერთსა და იმავე დროს შედის ძალაში. ამასთან პარიზის ხელშეკრულების 128-ე მუხლი ადგენს:

„ეს ხელშეკრულება დადებულია 50 წლის ვადით დღიდან მისი ძალაში შესვლისა".

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ პარიზის ხელშეკრულების ავტორებს სურთ 50 წლით გადადონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. აქედან გამომდინარეობს, რომ გაერთიანებულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგაც მხედველობაში აქვთ პარიზის ხელშეკრულების შენარჩუნება. ამას ადასტურებს ბ-ნ ბიდოს 4 თებერვლის სიტყვები, როცა მან თქვა:

„პუნქტი 50 წლის შესახებ გამოხატავს აშკარა ფაქტს, სახელდობრ იმას, რომ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანების კონსტიტუცია არის არა ეფემერული წამოწყება, არამედ ისეთი, რომლის ხანგრძლივი არსებობა ჩვენ გვსურს".

მაგრამ გაერთიანებულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შემდეგ ცალკე დასავლეთი გერმანია აღარ იქნება. მაშასადამე, მხედველობაში აქვთ პარიზის ხელშეკრულების ვალდებულებანი გავრცელდეს გაერთიანებულ გერმანიაზეც. მაშასადამე, სურთ წინასწარ გადაწყვიტონ, რომ გაერთიანებული გერმანია შებოჭილი უნდა იყოს პარიზის ხელშეკრულებით, რომელიც სეპარატული წესით მომზადდა და დაიდო დასავლეთის სამ სახელმწიფოსა და ბონის მთავრობას შორის.

ამას საბჭოთა კავშირი ვერ დაეთანხმება.

მეორე.

„ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში" დასავლეთ გერმანიის შეყვანის გეგმა მიუღებელია ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხთათვის, რადგან იგი მიზნად ისახავს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას.

ჩაებმება რა ამ გეგმაში, დასავლეთი გერმანია აღარ იქნება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნა, ე. ი. დასავლეთ ევროპის არმიის შექმნა, რომელშიც შევა დასავლეთ გერმანიის არმიაც, მოასწავებს, რომ ევროპის ცენტრში კვლავ შეიქმნება აგრესიის საშიშო კერა.

ბ-ნი ბიდო გვაფრთხილებს, რომ ეს „არ არის ეფემერული წამოწყება". ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წამოწყების „არაეფემერულობა" ადრე თუ გვიან გამოიხატება იმით, რომ ეს „წამოწყება" გადაიქცევა სერიოზულ საფრთხედ ისეთი გერმანიის არა მარტო აღმოსავლეთი, არამედ აგრეთვე დასავლეთი მეზობლებისათვის, სადაც შეიქმნება არმია ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით.

თუ რამდენად უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" გეგმის არსებობა არაფრით არ შებოჭავს გაერთიანებულ გერმანიას, ჩანს შემდეგიდანაც:

თუ დასავლეთ ევროპის იმ არმიის შექმნის გეგმა, რომელშიც შეყვანილ იქნება დასავლეთ გერმანიის ვერმახტი, განხორციელდა უახლოეს დროში, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ დასავლეთი გერმანია რემილიტარიზებული იქნება ჯერ კიდევ იმ პერიოდში, სანამ წარმოებს მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების შესახებ. ამრიგად, შეიქმნება მდგომარეობა, როცა დასავლეთი გერმანია დაკარგავს მშვიდობისმოყვარულ ხასიათს და რემილიტარიზაციის გზას დაადგება. ასეთი დასავლეთი გერმანია ვერ შევა გაერთიანებულ გერმანიაში, რადგან მშვიდობისმოყვარე აღმოსავლეთი გერმანია, როგორც ცნობილია, უარს ამბობს დაადგეს რემილიტარიზაციის გზას და ვერ გაერთიანდება რემილიტარიზებულ დასავლეთ გერმანიასთან. დასავლეთი გერმანია არ უნდა დაადგეს რემილიტარიზაციის გზას, და მაშინ იქნება ყველა საფუძველი გათიშული გერმანიის გაერთიანების განხორციელებისათვის. დაადგება რა რემილიტარიზაციის გზას, დასავლეთი გერმანია რაღაც ვადით შეუძლებელს ხდის გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

მესამე.

არსებობს კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის 1952 წლის 27 მაისის დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერენ ბ-ნი აჩესონი, ბ-ნი იდენი და ბ-ნი შუმანი. ეს დეკლარაცია, რომელიც დართული აქვს პარიზის ხელშეკრულებას, განუყრელად დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის არმიის შექმნის გეგმებთან და, მაშასადამე, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის გეგმებთანაც.

ამ დეკლარაციით შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, რომლებსაც არ სურთ შეიყვანონ თავიანთი ჯარები დასავლეთ ევროპის არმიაში, იკისრეს განსაკუთრებული ვალდებულებანი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" „მთლიანობისა" და „ერთიანობის" შენარჩუნების შესახებ. დეკლარაცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოზიციის შესახებ ამ საკითხზე მუქარით აცხადებს შემდეგს:

„თუ რაიმე მოქმედება, საიდანაც უნდა იყოს იგი, საფრთხეს შეუქმნის გაერთიანების მთლიანობას ან ერთიანობას, ეს ორი მთავრობა ამ მოქმედებას მიიჩნევს საფრთხედ თავისი საკუთარი უშიშროებისათვის და იმოქმედებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად. გარდა ამისა, თვითეულმა მათგანმა განაცხადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იყოლიონ ევროპის კონტინენტზე, კერძოდ, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, ის ძალები, რომლებსაც ისინი, ითვალისწინებენ რა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავიანთ ვალდებულებებს, თავიანთ დაინტერესებას ევროპის გაერთიანების მთლიანობით და თავიანთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გერმანიის მიმართ, საჭიროდ და შესაფერისად მიიჩნევენ, რათა ხელი შეუწყონ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ზონის საერთო თავდაცვას".

ამრიგად, ამ დეკლარაციის თანახმად, დასავლეთი გერმანია, შევა რა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში", ფაქტიურად მოკლებული იქნება იმის უფლებას, რომ გამოვიდეს იქიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის თანხმობის მოუღებლად. დასავლეთ გერმანიის მხრივ ამგვარი ცდები პირდაპირ აკრძალულია ამ დეკლარაციით — აკრძალულია იარაღის გამოყენების მუქარით.

ყოველივე ამის შემდეგ, რაღა რჩება იმ თემაზე მსჯელობისაგან, თითქოს გაერთიანებულ გერმანიას უზრუნველყოფილი ექნება მოქმედების თავისუფლება? ასეთ მსჯელობას ნიადაგი არა აქვს.

სიმართლეს პირდაპირ უნდა გავუსწოროთ თვალი. თუ განხორციელდა გეგმა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ", ამით დასავლეთი გერმანია დაადგება რემილიტარიზაციის გზას, ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით არმიის აღორძინების გზას. ასეთ პირობებში ევროპის ვერცერთი სახელმწიფო და განსაკუთრებით მეზობლები ვერ იქნებიან დამშვიდებულნი, ვერ იქნებიან დარწმუნებულნი ხვალინდელ დღეში.

ასეთი გეგმა უეჭველია, არა გერმანელი ხალხის ინტერესებს შეესაბამება. ეს გეგმა შეესაბამება იმ განზრახვას, რომ მომავალი ომი ევროპის ხალხთა ხელით აწარმოონ. ეს გეგმა გერმანელი ხალხის ნაწილს ამ ავანტიურისტულ გეგმებში ითრევს. მაგრამ ამავე დროს იგი გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნის გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

საბჭოთა კავშირის პოზიცია გამსჭვალულია ერთი ძირითადი მისწრაფებით — ხელი შეუწყოს მშვიდობისა და ევროპის უშიშროების განმტკიცებას. სანამ გვიანი არ არის, ჩვენ ყველამ უნდა შევუშალოთ ხელი ევროპის ცენტრში აგრესიის ახალი საშიშო კერის აღდგენას.

იმაზე როდი უნდა ვფიქრობდეთ, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს დავუპირისპიროთ. ევროპის ხალხები და მათი ჭეშმარიტი მეგობრები ევროპის ფარგლებს გარეთ დაინტერესებული არიან იმით, რომ ევროპის ყველა ხალხისათვის თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი უშიშროება.

ხელშეკრულება ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ დადო ექვსმა ქვეყანამ: საფრანგეთმა, იტალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა და დასავლეთ გერმანიამ. რატომღაც დასავლეთ ევროპის 6 ქვეყანამ ევროპის 32 ქვეყნიდან თავიანთ გეგმას მიაკუთვნა „ევროპის" გაერთიანების სახელი, ხოლო სურთ, რომ ამ ექვსი ქვეყნის არმიას „ევროპის" არმია უწოდონ. ფაქტიურად ამ არმიას არ შეიძლება ეწოდოს არც დასავლეთ ევროპის არმია, რადგან დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც კი მთელი რიგი სახელმწიფოები არ შედიან ამ „გაერთიანებაში".

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას" საერთო არა აქვს რა ნამდვილი საერთო ევროპის უშიშროების ინტერესებთან. უფრო მეტიც. ყველა ხედავს, რომ ამ „გაერთიანების" მახვილი მიმართულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ, სსრ კავშირის წინააღმდეგ, — რომ ეს მხოლოდ იარაღია ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო დაჯგუფებისა.

ასეთ მდგომარეობაში კანონიერი იქნება, თუ ვიკითხავთ: საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს აქვთ თუ არა რაიმე სათქმელი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, ევროპის ხალხთა ნამდვილი უშიშროების შესახებ? პასუხი ამ დიდმნიშვნელოვან კითხვაზე ევროპის ყველა ხალხს აინტერესებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ევროპის არმიის" შექმნის გეგმების განხორციელებისა და გერმანიის მილიტარიზმის ფაქტიური აღდგენის გზით სვლა იმას ნიშნავს, რომ ვიაროთ არა მშვიდობის განმტკიცების მიმართულებით, არამედ ევროპაში ახალი ომის მომზადების მიმართულებით. საბჭოთა მთავრობა მოითხოვს უარი ვთქვათ ამგვარ გეგმებზე, რომლებიც შეუთავსებელია საყოველთაო მშვიდობის ინტერესებთან.

ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ევროპის ყველა ხალხის მშვიდობა და უშიშროება, ხელი შევუწყოთ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, შესაძლებელი გავხადოთ ევროპის ყველა იმ სახელმწიფოს კოლექტიური ღონისძიებანი, რომლებიც ამ მიზნების განხორციელებას ესწრაფვიან.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

ბერლინი, 9 თებერვალი. (საკუთარ სპეც. კორ.). დღეს ყოფილი საკონტროლო საბჭოს შენობაში გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი სხდომა.

თავმჯდომარეობდა ა. იდენი.

როგორც ცნობილია, 6 თებერვლის სხდომაზე დალესმა და იდენმა შეიტანეს წინადადება გადაიდოს გერმანიის საკითხის განხილვა და პირდაპირ დაიწყოს დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვა. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ ასეთი წინადადება მიზანშეუწონელია და რომ საჭიროა გაგრძელდეს განხილვა დღის წესრიგის მეორე პუნქტისა — „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები". რადგან ვერ შესძლეს აშკარად დაეცვათ თავიანთი წინადადება, დასავლეთის სახელმწიფოების მინისტრები იძულებული იყვნენ დათანხმებოდნენ საბჭოთა დელეგაციის აზრს. ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოთა მინისტრების მანევრი ჩაიფუშა და თათბირი განაგრძობს გერმანიის საკითხის განხილვას...

განხილვის მსვლელობაში დასავლეთის სამმა მინისტრმა სცადა მიეჩქმალა მთელი რიგი საბჭოთა წინადადებები, თავი აერიდებინა მათი განხილვისათვის. ამით ხომ არ აიხსნება, კითხულობენ ადგილობრივ დემოკრატიულ წრეებში, დასავლეთის სახელმწიფოების ცდები გადადონ დისკუსია გერმანიის საკითხზე? დამახასიათებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დალესს მთელ რიგ სხდომებზე კრინტიც არ დაუძრავს საბჭოთა მთავრობის პროექტზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. ამ პროექტის გამო აზრის გამოთქმას თავი აარიდეს აგრეთვე იდენმა და ბიდომ.

4 თებერვალს საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა წინადადება განხორციელდეს ჯერ კიდევ არჩევნების მოწყობამდე ოთხი სახელმწიფოს საოკუპაციო ჯარების გაყვანა გერმანიის ორივე ნაწილიდან, გარდა განსაზღვრული კონტინგენტებისა, რომლებიც დარჩებიან დაცვის ფუნქციების შესასრულებლად. ამ ახალი დიდმნიშვნელოვანი წინადადების მიზანია ხელი შეუწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ამოცანის წარმატებით შესრულებას, აღკვეთოს უცხო სახელმწიფოების ყოველგვარი ჩარევა და ზეგავლენა არჩევნების ჩატარების დროს. ცნობილია, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მინისტრებმა უარყვეს ეს წინადადება, დასჯერდნენ რა უსაფუძვლო მტკიცებას, თითქოს იგი მიუღებელი იყოს, და ზოგიერთ შენიშვნას, რომელიც საქმეს არ შეეხება.

დასავლეთის სამმა მინისტრმა დუმილით უპასუხა აგრეთვე მეორე დიდმნიშვნელოვან საბჭოთა წინადადებას, რომლის მიზანია გერმანიის იმ ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქება, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან. დამახასიათებელია, რომ არა მარტო დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეხვდნენ დუმილით ამ წინადადებას, არამედ აგრეთვე დასავლეთ ევროპის, ბონისა და ამერიკის პრესამ შექმნა ერთგვარი დუმილის შეთქმულება ამ წინადადების გარშემო, ისევე როგორც საოკუპაციო ჯარების გაყვანის წინადადების გარშემო.

დღევანდელი სხდომის დასაწყისში ვ. მ. მოლოტოვმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნაწილობრივ შეაჯამა ოთხი მინისტრის თათბირზე გერმანიის საკითხის განხილვის შედეგები.

როგორც კი დაამთავრა ვ. მ. მოლოტოვმა თავისი განცხადება, სიტყვა აიღო ჯ. დალესმა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ეთქვა არ ვილაპარაკებო. ამით დალესმა დაადასტურა თავისი განზრახვა კვლავ აარიდოს თავი კონკრეტულ საბჭოთა წინადადებებზე პასუხის გაცემას.

არსებითად ასეთივე პოზიცია დაიკავა ჟ. ბიდომ. თავისი მოკლე გამოსვლა მან მიუძღვნა, ძირითადად, საბჭოთა წინადადებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია შეუმსუბუქდეს გერმანიას ომის შედეგებთან დაკავშირებული ფინანსურ-ეკონომიური ვალდებულებანი.

შეეხო რა სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას, რომ გერმანია სავსებით განთავისუფლდეს ყოველი სახის რეპარაციების გადახდისაგან, ბიდომ თქვა, რომ საფრანგეთის დელეგაციას „შესაფერისად არ მიაჩნია გამოთქვას აზრი ამის თაობაზე". იგი ამტკიცებდა, რომ ეს საკითხი შეიძლება ნორმალურად გადაიჭრას მხოლოდ საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ საფრანგეთის დელეგაციამ, ისევე როგორც ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებმა, თავი აარიდა პასუხის გაცემას საბჭოთა დელეგაციის წინადადებაზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისა და გერმანიის საზავო ხელშეკრულებისათვის საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ, ცხადი იქნება, რომ საფრანგეთის დელეგაცია ცდილობს დაასამაროს რეპარაციების გადახდისაგან გერმანიის განთავისუფლების საკითხი.

ცნობილია, რომ საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს გერმანიის სრულ განთავისუფლებას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საოკუპაციო ხარჯების იმ დავალიანების გადახდისაგან, რომელიც შეიქმნა 1945 წლის შემდეგ, აგრეთვე იმ ხარჯების ანაზღაურების შემცირებას, რომლებიც დაკავშირებულია ოთხი სახელმწიფოს ჯარების ყოფნასთან გერმანიის ტერიტორიაზე. ბიდომ აქაც აარიდა თავი გარკვეულ პასუხს, განაცხადა რა, რომ „მიზანშეწონილი არ არის ვეცადოთ რაიმე შეთანხმებას მივაღწიოთ ამის თაობაზე, ყოველ შემთხვევაში, სანამ ჩამოყალიბდებოდეს გაერთიანებული გერმანიის მთავრობა თავისუფალი არჩევნების საფუძველზე".

ბიდომ იმავე ხერხს მიმართა, რათა ცდილიყო თავიდან მოეშორებინა აგრეთვე საბჭოთა წინადადების მესამე პუნქტი, რომლის თანახმად გერმანია სავსებით უნდა განთავისუფლდეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისისა და სსრ კავშირისათვის ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდისაგან, გარდა სავაჭრო ვალდებულებებით შექმნილი დავალიანებისა. ბიდომ განაცხადა, „ეს საკითხი წმინდა კომერციული ხასიათის და არა პოლიტიკურ ხასიათის საკითხიაო".

ბიდომ თავისი სიტყვის შემდგომ ნაწილში მხოლოდ გაიმეორა ზოგადი გამოთქმებით ის, რაც მას უკვე არაერთხელ უთქვამს გერმანიის საკითხზე დისკუსიის მსვლელობაში. საფრანგეთის დელეგაციას პასუხი არ გაუცია არც ერთ კითხვაზე, რომელიც დასმული იყო ვ. მ. მოლოტოვის დღევანდელ განცხადებაში. მით უფრო უცნაურად გაისმა ბიდოს საბოლოო სიტყვები, „საჭიროა პრობლემა არსებითად, ზუსტად და კონკრეტულად განვიხილოთო".

ბიდოს შემდეგ ილაპარაკა ა. იდენმა, რომელმაც აგრეთვე განაცხადა, საბჭოთა წინადადებებს გერმანიის ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან, ჩემი აზრით კავშირი არა აქვთ დღის წესრიგის იმ პუნქტთან, რომელსაც ახლა განვიხილავთო. ამასთან იდენმა გამოიყენა ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის პროპაგანდის გაცვეთილი ფაქტების საწინააღმდეგო მტკიცება, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოებმა უკვე გაათავისუფლეს გერმანია ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათაგან. იდენმა ისიც კი განაცხადა, რომ ინგლისს თითქოს არავითარი რეპარაციები არ აეღოს გერმანიისაგან. ასეთი განცხადება აშკარად ეწინააღმდეგება იმ უდავო ფაქტს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა, მათ შორის ინგლისმაც, დასავლეთ გერმანიიდან წაიღეს უდიდესი ფასეულობანი რეპარაციების სახით, კერძოდ დასავლეთ ბერლინისა და დასავლეთ გერმანიის საწარმოთა დემონტაჟის გზით, გერმანიის საზღვარგარეთის ქონების კონფისკაციის, გერმანიის რაიხსბანკის ოქროს, ფასიანი ქაღალდებისა და პატენტების ამოღების, გერმანიის სავაჭრო ფლოტის კონფისკაციის გზით, რურის ქვანახშირის, ჯართისა და სხვა ნედლეულის იძულებითი ექსპორტის გზით და სხვ.

რაც შეეხება საბჭოთა დელეგაციის მიერ დასმულ სხვა საკითხებს, იდენმა მათ სრული დუმილით აუარა გვერდი. მან განაცხადა, რომ ერთის მხრივ დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს და მეორე მხრივ საბჭოთა დელეგაციას დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციები უკავიათ განსახილველ საკითხში. იდენმა პირდაპირ განაცხადა, რომ უარს ამბობს ეძებოს გერმანიის საკითხის გადაწყვეტა ურთიერთმისაღებ საფუძველზე. „თუ ნამდვილად ვერ ვაღწევთ შეთანხმებას გერმანიისათვის გეგმის შესახებ, — თქვა იდენმა, — მე მგონია, პირდაპირ უნდა გავუსწოროთ თვალი სიმართლეს, თუმცა ეს შესაძლოა სასიამოვნო არ იყოს, და ვაღიაროთ, რომ არ შეგვიძლია შემდგომ პროგრესს მივაღწიოთ ამ საკითხში". შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა. მან მოაგონა თათბირის მონაწილეებს, რომ დღის წესრიგის მეორე პუნქტის სათაურია „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები" და რომ საბჭოთა დელეგაციამ თავის დღევანდელ განცხადებაში კვლავ მიაპყრო ყურადღება იმას, თუ რა კავშირია გერმანიის საკითხსა და ევროპის ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საკითხს შორის. ეს საკითხი აზრთა სერიოზულ გაცვლას მოითხოვდა. მაგრამ დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა გამოსვლები ამოიწურა იმ გეგმის დაცვით, რომ შეიქმნას სამხედრო დაჯგუფება ექვსი სახელმწიფოს შემადგენლობით, რომელსაც ეწოდება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება". მაგრამ ეს, შენიშნა მოლოტოვმა, ვერ გადაწყვეტს ევროპის უშიშროების საკითხს.

გერმანიის საკითხს, განაგრძო მოლოტოვმა, პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მთელი ევროპის უშიშროების საკითხთან. საბჭოთა დელეგაციამ სწორედ ამასთან დაკავშირებით იკითხა დღეს, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს აქვთ თუ არა რამე სათქმელი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის, ევროპის ხალხთა ნამდვილი უშიშროების შესახებო.

შეეხო რა თავმჯდომარის იდენის გამოსვლას, რომელმაც სცადა შეეჯამებინა დღის წესრიგის მეორე პუნქტის შესახებ დისკუსიის საერთო შედეგები, ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაციას ეს შედეგები ისე ესმის, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს ამჟამად არა აქვთ რაიმე მოსაზრება ან წინადადება ევროპის ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე.

ჯ. დალესმა სცადა სადავოდ გაეხადა ვ. მ. მოლოტოვის ეს განცხადება. მან მოაგონა დამსწრეთ მთელი რიგი თავისი გამოსვლები, მაგრამ ილაპარაკა რა ამ გამოსვლების შინაარსზე, მხოლოდ დაადასტურა, რომ ისინი უმთავრესად ეხებოდნენ ცდებს — გაამართლოს დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფების შექმნა, რაც, როგორც ცნობილია, სრულიადაც ვერ შეუწყობს ხელს ევროპის უშიშროების განმტკიცებას.

დალესმა არ მოისურვა კონკრეტულად ეთქვა რამე მოლოტოვის მიერ დასმულ საკითხზე და მხარი დაუჭირა იდენის აზრს, რომ საჭიროა აღიარებულ იქნას დასავლეთის სახელმწიფოთა და საბჭოთა კავშირის პოზიციების სრული უთანხმოება განსახილველ საკითხში და შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობა.

დალესის შემდეგ ბიდომაც გაიმეორა: რადგან გამოირკვა, რომ ამ სტადიაზე შეუძლებელია მიღწეულ იქნას რაიმე კომპრომისი, აღარ ღირს გაგრძელდეს გერმანიის პრობლემისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემის განხილვა. მან მოითხოვა დაიწყონ სხვა პრობლემების განხილვა, რათა შემდეგში დაუბრუნდნენ იმ საკითხს, რომელსაც ახლა განიხილავენ.

ბიდომ შეიტანა წინადადება, რომ ხვალ, 10 თებერვალს, კვლავ შეიკრიბონ დახურულ სხდომაზე, რათა განაგრძონ იმ საკითხების განხილვა, რომლებსაც განიხილავდნენ 8 თებერვლის დახურულ სხდომაზე.

იდენმა აღიარა, რომ გერმანიის პრობლემასა და ევროპის უშიშროების პრობლემას შორის პირდაპირი კავშირია და განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უკვე განმარტეს თავიანთი პოზიცია, რომელიც იმით გამოიხატება, რომ, მათი აზრით, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საწინააღმდეგო ღონისძიებაა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნა. ამრიგად, ლოგიკის წინააღმდეგ იდენი ამტკიცებდა, რომ დასავლეთ ევროპის სამხედრო ბლოკის შექმნა, რომლის ძირითადი ბირთვი გერმანიის რევანშისტული არმია იქნება, თითქოს მიზნად ისახავს აგრეთვე... საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფას. მან კვლავ განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს ღონისძიებანი, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფას, და მიემხრო ბიდოს წინადადებას, რომ 10 თებერვალს მოეწყოს ახალი დახურული სხდომა იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დღის წესრიგის პირველ პუნქტს ეხება.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას აგრეთვე სასურველად და სასარგებლოდ მიაჩნია ერთ-ერთ უახლოეს დღეს მოეწყოს დახურული სხდომა დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ. მაგრამ საბჭოთა დელეგაციის აზრით, მიზანშეწონილი არ არის შეწყდეს გერმანიის პრობლემისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების განხილვა. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას განზრახული აქვს შეიტანოს კონკრეტული წინადადებანი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე.

მაგრამ დალესი და ბიდო კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ შეწყდეს გერმანიის პრობლემის განხილვა და ხვალისათვის დაინიშნოს დახურული სხდომა.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას შეუძლია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ თავისი წინადადება ჩამოაყალიბოს ხვალინდელ სხდომაზე და რომ მიზანშეწონილია დახურული სხდომა დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ მოეწყოს ზეგ, 11 თებერვალს.

თავმჯდომარემ იდენმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას, რომლის წინააღმდეგ არავინ წასულა. ამით დამთავრდა სხდომა.

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-97, ხაზდივნისა — 3-06-58, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00630

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"